

423 /  
1872 / 3

# ცისკარი.

1872

იულისი.

წელიწადი მეთექვსმეტე.

---

წოდებათსსულებათა:

- I, — საფსული (ლექსი რუსულით) ი. კერესელიძისა.
  - II, — სსუა ჭ სსუა ამბავი.
  - III, — კაცის ცხოვრების თავს გარდასავალი, (მო-  
თსრობა ნათ.) ივ. კერესელიძისა.
- 

ტფილისს.

მარტირუჩიანის ტიპოგრაფიაში.

---

XIV

119

# ზავსული

16.

(რუსულით.)

კვალად გამხენმა უსჯი კალთა გადმოკვა ბურტუა,  
სიმდიდრე მინდვრებს. სუტნს კარშემო, მართლად შემო-  
ერტვა;

მწვანით იმოსნენ ველნი, ჯაგნარნი, ურიცხვნი ხენი,  
მათში ვვავილნი სურნელობენ სსუა ზ სსუა ფერნი,  
სუდ ნავარდობენ იქა აქა მოყნით ნახირნი,  
სტიან, ცელქობენ, თავისუფლად ოთსკუთს ნადირნი;  
ცურვენ თამამად თევსნი ბროლებრ ნაკადებშია,  
ურიცხვნი სილნი მწიფდებიან ვენახებშია.

შრომას მოიმეის სისარულით მიწისა მსუნელი,  
შიგ ბალახებში მისისა შუქსედ ელვარებს ცილი;  
მის შარაშურსა ბანს ტურთა სმით ამლევს ფრინველი,  
ამას დაჭკალობს ერმას. აქ მოდი, ნეტა რას ელი?

ააქ ამ მშვენიერს გრილს ხეს ქვეშე, დავვიგდე უური,  
აროგორ სიმღერით შეგაქციოთ, ვახათ ფერსული;

აჲ ამ სიძღვრით, შოისშინე ამ ტურფა ზაფხულს,  
 არგორ მადლობას უძღვნით ერთობ ლამაზათ შეძკულს“.

ურმას ამ სიტუვასკდ გულიანათ გაედიმება,  
 ჲ ამ ცელქს ფრინველს დარბეებით მას ეუბნება:

„არა ლამაზო სასანდარო, ზაფხულს კი არა,  
 მადლობა უძღვენ მას, ვინც ეს წლის დრო დაამყარა!

ი. კერესელიძე

25 მაისის 1872 წელს  
 ტფილისში.

# სსუგა და სსუგვა ანბავი.

კრაუნინია კონტარინი.

ეს ნამდვილი ანბავი ამისათვის ზრის აღწერილი, რომ ეველამ იცოდეს, თუ დედაკაცი როგორი მიუსკედრი ქმნილებას.

კავალერი აიაქსე ტორტოლლო თუო გამონენილი კაცი მრთელს იტალიაში, როგორც კარგი ბალეტნიკი, ესე იგი მოტანციო; მრთელს იტალიაში ისე მშუენიურად არა ვინ ტანციობდა; ამას კარდა იუო ღამასი სხსის კაციხსა, ტანი ჭქონდა მშუენიურად მოუვანილი ზ ტუატრის თვალი ის იუო, ისეთ ნაირად დაიკრისებოდა ტანში ზ დაიკლანოდა როგორც გუული, რკაღში ისე გამყრებოდა, როგორც ემაწვილი, შესტომა ზ გადანტომა რომ იმისი ჰირველი ხელობა იუო. როდესაც მობესრდა აკტიობობა, იქნებოდა ოც ზ თხუო მეტის წლის კაცი, წავიდა ერთს იტალიის ქალაქში რომელსაც ერქვა ზისა.

აქ რომ მოვიდა, ამას არაჟინ იცნობდა, მჭევრ ცოტა ფული ზ დაიწყო გამოხეიით ცხოვრება, დადი-  
 ოდა აქ იქ მალე სასოგადოებაში ზ როდესაც დაიწ-  
 ვობდა ტანციობას, მრავლი სასოგადოება უყურებდა  
 ზირდია, ისეთი გაკვივებულნი იყვნენ იმისის თამაშო-  
 ბით ზ ამასთანავე როგორც ტანის მოყვანილობით  
 ისე სილამაზით. ამ დროს აქა, ამქალაქში სცხოვრებ-  
 და ერთი მდიდარი გრაფინია ვონტარინი; ქალი მეტად  
 მშვენიერი, რომლისათვისაც გიჟდებოდა მრთელი ქა-  
 ლაქი; თავანის მცემლები ამ ქალს ბევრნი ჭყვანდნენ,  
 ზოგნი იყვნენ ნკმუცის ბარონები, ზოგნი მარკიზები  
 ფრანგუზნი, ზ ზოგნი ვინ იცის რომელნი კავალერნი,  
 მაგრამ ყველასთან გულგრილად იყო ეს გრაფინია ზ  
 არა ვინ ვურადლებას არ ამღევედა; როდესაც გრაფინია  
 ვონტარინამ ტირტოლლო ნახა, იმისი დიდებული  
 ტანციობა, იმისი მშვენიერი შესედეულობა ზ მოყვანი-  
 ლება, მეტად გაიტაცა იმისი გული, უფრო მაშინ,  
 როდესაც ტორტოლისგან. შეიტყო, რომ ისიც დიდი  
 კაცის შვილი იყო ზ შემძლებელი, რომელმაცა სიც-  
 რუით აღვიარა თავისი შთომძვლობა. გრაფინია კან-  
 ტარინი, მსოლოდ ტორტოლლის ამღევედა უაქრნატკოთ  
 ტიტველა ხელსა; მსოლოდ იმას უღიბებდა, მსოლოდ  
 იმას მოიხვამდა. სოლმე ეკიანქში, სადრითგან წირ-  
 ვის შემდეგ რომ გამოდიოდნენ, ყველანი ტირტოლლის

სიბურთით უკუ რებდნენ & ოსრავდნენ.

გრაფინია ვონტარინი იყო ოც & ერთის წლისა ახალ გარდა ქვრივს შემოსავალი ჰქონდა წელიწადში ექვსი ათასი თუმანი თავის მამულებითგან; იყო გრაფის ნაცოლადი & ქალი დიდის კაცისა.

სასახლე იმისი იყო ზირველს ქალაქის მეიდანსუდ, წმინდის ოხუგრისა, სიბირის ზირ & ზირ; სეცაუსულო სასახლე ჰქონდა ქალაქიღვან მოძორებით ორს ვერსსუდ, მშენიერს ყოვლის სიკეთით სავსეს ბაღში, სადაცა ციფი ვინულივით წყარო ჩამოუდიოდა; აქ სმირად ხდიდა სტუმრობას, სადაცა იმატიყებდა ქალაქის დიდროან კაცებს ცოლშვილით, ერთსულ შემოდგომასუდ ამ სასაფსულო სასახლეში ისეთი სტუმრობა გამართა, რომლის მსავასი ჯერ არა ჰქონიყო, იქ იყო მრთელი კეთილშობილება ზირის ქალაქისა. მდინარე არანო, რომელიცა გვერდსუდ ჩამოუდიოდა, გაივსო სომალდებით, რომელასუდაც გაშლილნი ივენეე სადღესასწაულო ბაიროლები; შარა გზასუდ მიდიოდნენ ურიცხვნი ეკიმაყები & ეს სტუმრები სულ იმასთან მიეშურებოდნენ, როდესაც სულერთიან შეიყარნენ, ოთასები განათდა ურიცხვის ლამაზებით, ბედის სეივანები სავსე იყო ანთებული ფერადის ფარნებით; ბუსივით ირეოდნენ სტუმრები & მრთელი ქალაქი არ მოსწრებია ერთად შეკრებილს იმდენ მშენიერს ქალებს, რაც

აქ იუენუნ. ეველგან გავიდუნ მომკვლევი თვალები  
 ეველგან ისილგებოდა ფარსებით ჩაცმულება, თქრომკე-  
 დით ზ ბრილიანტით შექობილები. კაცებიც კარგათ  
 იუენუნ ჩაცმულნი ზ მომეტებულნი უფრო მოხდენილე-  
 ბი; მაგრამ ეველასედ ლამაზი ფეროვანი იყო, ეველა-  
 სედ უკეთესი ტანადი ზ მოხდენილი კაცებში იყო  
 ტორტოლლა. იმას ეცვა სავურდის ტანისამოსი; ერთი  
 იყო დედოფალი ამ სალხისა, მეორე მეფე, ისე შვე-  
 ნოდუნს ორნივენი. ტორტოლლო კლავში ველ გავრი-  
 ლი ატარებდა ვანტარინეს ზ სან ზ ხან რელასაც  
 წაუჩურჩულებდა სოლმე სასუძარსა, რომელსედაც ღი-  
 მილი მოხდიოდა გრაფინიასა. სტუმრებმა რომ ეს ნა-  
 ხეს, გადაწვევით ანობდუნს, რომ გრაფინია უეჭვე-  
 ლად ტორტოლლას შეირთავსო.

როდესაც ამდენს სტუმრებში გრაფინია ზ ტორ-  
 ტოლლა, სასეიროდ დადიოდუნს ბაღში, ერთი ვილაცა  
 უმასალოთ ჩაცმულ დასურული, ამ ბრწუნვალე  
 სტუმრებში მსოლოდ ის, ჩუმათ დასდევდა შორი ახ-  
 ლოს. ეს საიდუმლო ზირი, არ იყო გონჭის სასის  
 კაცი ზ თავიც ზატოხსურად ეჭირა, მაგრამ ტანისა-  
 მოსი ძრეულ შემოსცვეთოდა. სსუა ალავს რომ ეო-  
 ფილიყო სადმე, ის საიდუმლო კაცი არ გამოჩნდებო-  
 და ზ ეურადღებას არავინ მიაქცევდა, მაგრამ აქ რომ  
 ეველას მდიდრულად ეცოდა. ეველა შენიშნავდა უეჭველად.

— კნენა, ჭკითხა ვრთმა იმქალაქის სენატორმა ვრთს იქ მეოფს ქალსა, ნება მიბოძეთ ვვითხოთ თქუჭენო შრწუინჯალეზაჲ, სომ არ იცნობთ ეს დაღრეჭილი კაცი ვინ არის?

კნენამ შესედა რა ამ საიდუმლოს კაცს, სასიზღის სასით თაჲი მოაზრიდა. შემდგომს, რა არ მისცა უალაგო კითხვის ზასუსი, ისეჲე დაუწუო სინჯუა მძვენიერს ზ დიდებულად მორთულს ტორტოლლოს.

ის უცნობი ზ საიდუმლო კაცი, მაინც თვალურს აღევნებდა დიდის უურადლებით როგორც ვრაფინიას, ისე კავალერს ტორტოლლოს. ბევრმა მოჭკრა უური, რომ იმან ჩუმათ, თავისათვის წაილუღლუდა; ჭო, სწორეთ ეს ის არის ... ის არის ... სედაჲ ამ უმზგავსოს რაებსა ჭბედავს!

ვინ იფიქრებდა, რომ ეს თქმული სიტყვები მიეწერებოდა კავალერს ტორტოლლოს. ტორტოლლომ მოახდინა საკვირველება, როდესაც ტანციობა დაიწუეს. ის ეტანციებდა ვრაფინიას, ამათ ტანციობას ოთხკუთსიჲეების ტაშს უკრავდნენ.

— ზრინცესაჲ! უთსრა ვრთს ქალს სენატორმა, თუ ინებებთ, ნება მიბოძეთ ვიტანციო თქუჭენთან.

ზრინცესამ ამოიოხრა ზ მიუგო:

— ოჭ, რა კარგი რამ არის კავალერი ტორტოლლო!

ველა ქალები, ვინც კაცი სთხოვდა თვისთან ტანციობას. ამ გულის მოსაკლავს სიტყვებს ვტეოდნენ.

საიდუმლო კაცი არაფის არ ელანარაკებოდა ზ ამისათუხ ვერც სსუა უბედავდა ეკითსნა რამე. ის გარ- შემო უტრიალებდა გრაფინიას და აიაქსე ტორტოლ- ლოს.

— რა მშვენიერი ქალია! . . . წაილუღლუღებდა სოლმე ეს, საიდუმლო კაცი გრაფინიასუდ , . . მშვენ- იერება არის? და ეს უმკსავსო, ბედავს! . . . ოო, არა, თავის დღეში არ იქნება! . . .

ამ დროს გრაფინია და აიაქსე ტორტოლლო ბაღ- დში გავიდნენ, რომ რომ წმინდა ჭყერით ესუნთქათ. სტუმრები ისე კეთილნი იყვნენ რომ თავის უფლებას ამღეფდნენ გრაფინიას. ერთი მსოლოდ საიდუმლო კაცი მიჭუკა იმათ შორი ასლოს.

გრაფინიამ სეივანი რომ გავლო, დაჯდა ერთს ფათალოიანს ბესედეკის ქეეშ, ტორტოლლო დანოქე- ბული, ზირ ზირ მარაოს უბეზავდა. საიდუმლო კაცი ამოეფანა ყვავილების. ვაგნარს უკანიდვან ზ დაუგლო ეური.

— ჩემო სიცოცხლეე! უთსრა გრაფინიას ტორ- ტოლლომ; როდის უნდა მოელოს ბოლო ამღენს ჩემს ტანჯვას?

გრაფინამ ამოიოხრა.

— მე ვიწვი სიუვარულის ცეცხლით, განაგრძელო ტორტოლლომ; ჭ მეშინის, ვად თუ ვერ ვიცოცხლო, ხედნიერებადინ.

— ძალიან გიუვარუარ? ჭკითხა გრაფინიამ.

— არა მკონია ქვეყანასედ, ჩემისთანათ ჭევარუბოდეს ვინმე, ჩემო სისარულო!

— ახ, ნეტავი ვიცოდე, მართალს ანობ თუ არა? ტორტოლლომ მაშინათვე, ხმაღს ხელი გაიკრა.

— მჯერა! მჯერა! შეჭვივირა გრაფინიამ, რა ფერი წაუვიდა შიშისაგან, — როგორ? განა ჩემის გულისათჳს თავი უნდა მოგეკლა, ჩემო ტორტოლლო? . . . რადგანაც აგრე გევარუბივარ, მე ვეღარ გაწინააღმდეგები. . . . ერთის კვირის შემდგომს მე ვიქნები თქუწნი ცოლი.

ტორტოლლოს სისარულისაგან უნდა დაევირნა, მაგრამ ხმა ჩაუწვიტა იმ ლანძღვამ, რომელიცა შემოესმა ბესედკის უკანა მხრიდგან.

ის იყო საიდუმლო კაცი, რომელმაც ვეღარ მოითმინა ჭ წამოხანთხია, თავისი გულის წერობა. . . .

მეორეს დღეს გრაფინია ვონტარინი, დილით იჯდა თავის ოთახში, სადაც ადგა თავს მოსამსახურე გოგო ჭ თავს უვარცხნიდა; იმას ედვა წინ ვახაში ვვავილების დიდი კონა ტორტოლოსაგან მორთმეული იმ დილით, ჭ ტკებობდა იმისის უურებით.

ლაქიამ წენარა დაარუნა კარები, როდესაც გოგომ გაუღო ზ ლაქეი რა შემოვიდა მოასსენა: ვიღაცა კავალერი შევალეი ვასლავთ ზ ნებას ითხოვს მიიღებთ თუ არაო?

რადგანც გრაფინია არ იცნობდა ამ სახელის კაცს, იმისათვის უბანა ლაქიას, შემოეყვანა სტუმარი ზ გოსტინაში მოეცდევინებინანა.

უნდა მოვასსენოთ მკითხველებს, რომ ეს ის საიდუმლო ვავალერი იყო, რომელიც თვალ-უურს ადევნებდა გრაფინიას ზ ტორტოლლას ბაღის დროს. იმას ტანისამოსი უფრო ვასცვეთოდა ზ ვაკლუჯოდა.

როდესაც გრაფინია გამოვიდა გოსტინაში, კავალერი შევალეი, ვაბედვით მივიდა ზ ხელი ჩამოართო, როგორც დიდმა კაცმა,

— გრაფინია, უთხრა საიდუმლო კაცმა, რა ათამაშებდა კელით ძველს ფერჩატკს, მე ვარ უნცროსი ძმა საფრანგეთის კოროლის ბურბონის ბიძისა; გერცოგი შევალეი.

გრაფინიამ ეს რომ შეიტყო, სთხოვა სკამზედ დაჯდომა, კავალერი უცებ სედ დაეცა, როგორც ჩვეულებათა აქუსთ, დიდკაცებს.

— მე ამისათვის ვიასელით თქუწნთან გრაფინია, რომ ერთი სიკეთე უნდა შემოვძღვნათ... ნება მიბოძეთ მოველასარაკნეთ რამდენსამე მინუტს... ამ

ორის წლის წინათ, ერთს ცირკში ვიყავ, რომელიცა იყო აშენებული იარბუჯაზედ ფიცრისაგან; იქ ლოქაში ვიჯექი, სოციერთ ჩემ ნათესავ ზრინცებთან, იმ დღეს თამაშობდა ერთი განთქმული კამედიანისკი. იმ კამედიანისკის ერქვა ტურტოლლა ის საკვირველ სასწაულს ჩადიოდა თამაშობის დროს, მრთელი ქალაქი იმ დღე იქ იყო საუურებლად. ისა თამაშობდა გაჭიშულს თოკზედ, ხან აცოცდებოდა კედლებზედ როგორც მამიუნსი, ხან ჭერითგან ჩამოგვიდებოდა & ხან ვინ იცის რას სჩადიოდა.

კრაფინიამ დაამთქნარა.

— მე ახლავე გავათავებ, სთქუა შეველიემ — რა უურებდი ტურტოლლას თამაშობას, ჩემთან მჯდომ ნათესავებს დაუწიე ლაპარაკი & ვუბნებოდი: მე სრულუბით დავიღუპე ჩემო მეგობრებო... გავლარობდი... მსოლოდ ეს ერთი ბეჭედილა შემჩნა, რომელიცა დამჩნა ჰაზი ჩემის გერცოგის ფრანცისკოსისაგან. მართლადაც იმ ბეჭდის მეტი არა მქონდარა. ერთმა იქ ჩემთან მეოჟმა მითსრა, მანც კიდევ კარგად დაგჩენიაო, ეგ შენი ბეჭედი ოცი ათას თუმნათა ღირსო. მეტადცა ღირს მეოქი, უხასუსე. ეს რომ ვთქვი &, კაცი... ეშმაკი... ჩამოვარდა უცებ ჩუჭნს ლოქაში, წამავლო კელი, გამომგლიჯა ის ბეჭედი & როგორც ელვა, ავარდა ჭერში, ამერა ლუსტრი რომ ჭვიდია ცირკაში

ძუა გულის, იქიდან ზე გაქრა. ოთხივე გუთხივე ძრეული ტაშის კერა შეიქნა, მე რა ტაშის დაკერისა მცხელოდა . . . იმ უმცხავსომ მომტაცა ბეჭედი, იმის შემდგომს სრულებით ვეღარა გავიგებრა იმისი, სადაც ჯანაბისაკენ გადაიკარგა.

— ეგ ძალიან საკვირველია კავალერო, უთხრა გრაფინიამ, რა დამითქნარა.

— მომიტყვევოთ გრაფინიავ, განაგრძელა კავალერმა, მე ვხედავ რომ ჩემი ისტორია თქვენს არაფრათ გეჭა-მნიკებათ.

— განა ჯერ კიდევ არ გავითავებიათ?

— გავათავუე. მე მხოლოდ ერთი სიტყუა ღა უნდა დაუმატო, სომ მისვდით რომელს ტორტოლლასედ ვეუბნებით?

გრაფინია შეკრთა ზე შუბლი შეიკრა.

— მაშ თქვენს მისვდით? სთქუა კავალერმა, — ამის შემდგომს რაღა საჭირო არის დაგიმტკიცოთ, — ტორტოლლა არაოდეს არ იქნება თქვენნი ქმარი.

გრაფინიამ თვალეხედ ხელი მიიფარა, მარაო მოიგერა ზე არც ერთი სიტყუა არ უთხრა, კავალერი ზასუხს ელოდა.

— მშუენიერო გრაფინიავ, უთხრა კვალად, რა ამოიოხრა: მე კოროლის შთამომავლობა მაქქეს; ჩემს მოგვარეებს სამეფო ტახტი უჭირავთ, მაშ შემოდლიან

გაბედვითა გთხოვოთ, რომ შეიქნათ ჩემი ცოლი. მე მე მიუვარსხართ ზ მინამ ცოცხალი ვარ, თქვეყნ თავს ვერ წამართმევს ის ქურდი!

გრაფინა ჩუმათ იყო.

კავალერმა დაინოქა იმის წინ, გრაფინამ მოჭკიდა კელი თქროს სარსა, რომელიცა სტოლსუდ იდუა ზ რა დაწკარუნა შემოვიდა ორი მოსული ლაქია.

— კავალერო, უთხრა გრაფინამ, თუ გაგეყებულსართ, ძლიერა ვსწუსვარ ზ თუ სტეუით, სასიხლად მიმანნიხართ, როგორც ცრუ.— უბანა ლაქიებს, იმათ სტაცეს კელი ზ რომ გაჭკვანდათ ანობდა.

— მე გიყი ვარ ხომ, ზ ვნახოთ გადაგისდი თუ არა!

— ჩემო საყვარელო კორტოლლო, ანობდა გრაფინა; რამდენი მტერი შეიძინე ჩემის სიყვარულის მისესითა!

იმან აიღო იმისაგან გამოგსავნილი ვვავილების კონა, უსუნა ზ ეს სუნი უფრო სასიამოვნოდ ეჩვენა.

— ამისათვის უფრო ძალიან მიუვარსხარ შენ! სთქუა გრაფინამ.

ერთის კვირის შემდგომს სობოროს ეკკლესია მშენიერად მორთეს; გარეთგან გუმბათსუდ დაუმკეს დროშა გრაფინას ღერბისა; შიგნით სომლებსუდ ათასობით სამთლები გაამწკრივს. იმ დღეს, რა დღესაც ქორ-

წილი იყო, მრთელი დღე დილით შეიღანსე ურიცხვი ხალხი ირეოდა, რომ ენასაა გრაფინია ჭ ტორტო-  
ლლა, თუ როგორის დიდებით მიიუვანდნენ ეკკლესიაში, უეკიზაჟოთ, რადგანაც ორმოც ჭ ათ ბიჯსედ იყო სა-  
სახლითგან ეკკლესია.

მინამ ცერემონია დაიწყობოდა, ეკკლესიის ჰირ ჭ ჰირ, იმ ალავს სადაც უნდა გაეგლოთ ნეჟე დედოფალს, რადგაც ორი გრძელი ბოძი აძარტეს, წვერსედ გრძელი თოკი გაჭიმეს ჭ ერთი თოკიც, სედ იმ თოკის შუა ჩამოჭკიდეს, ისე რომ ამ თოკის წვერი დედამიწასედ იყო დაშვებული; ეველას ეგონა, ესეც ცერემონიისათვის დადგეს. ამ ორ ბოძს ახლოს თორმეტი კაცი იდგა შეიარაღებული, დამბაჩები კელში, რომელთაც უფრო-  
სად ადგა საიდუმლო კაცი, რომელსაცა ერქვა შევალიე.

ათი საათი რომ შეიქნა, ნეჟე დედოფალი დიდის ანბით სასახლიდგან გამოიუვანეს, იმათ მოსდევდა დიდ ძალი ხალხი.

იმ მინუტს, როდესაც მეჟე დედოფალი მივიდნენ ორ ბოძებს შუა ის თორმეტი შეიარაღებულნი კაცნი დაიმწნენ თავიანთ ადგილიდგან.

— ჩქარა დაიწეეთ! უბრძანა შევალიემ.

აიაქსე ტორტოლლას ამ ბძანებასედ. მისცვივდნენ ეს თორმეტნი კაცნი, სტაცეს ხელი, მოაშორეს გრა-  
ფინიასა, მიიუვანეს ძირს ჩამოშვებულ თოკთან, შემოე-

სვიენენ გარსა, დაუმიხნეს თორმეტთავე დამბახეი ზ უბძანეს იმ თოკსედ ასულა ზ თამაშობა.

— ადი ამ საათში ტურტოლლაჲ! შეუძასა შეველიემ.

რომ ნასა საქმე ცუდათ იყო იმისი, ზ მეტი გზა არ იყო, მოიშვლინა ქუდი ზ ერთს წამს ავარდა იმ თოკსედ, კატასავით.

სალსს, ჰირი ღია დარჩა ზ არ იცოდნენ თუ რა ფიქრებანათ. დედოფალი ერთს ალაგს გაქვაგებული, უძრავად ჰირღია დარჩომილი იდგა. ვეელამ იცოდა, რომ ტურტოლლა კარგი მოტანციე იყო ზ ფიქრად ვის მოუვიდოდა, რომ ნაქები კომედიანკი იქნებოდა. მაგრამ მაინც, როგორც მაუურებლებს ჩვეულებათა აქწით, ტაშის კვრა შექნეს ზ ვვიროდნენ «ბრავოს»!

გრაფინიამ მეტის ნადველისნის სიმწარით ისე ტუჩები დაიკანიტა, რომ სისხლი დასდიოდა, ვწუსვარ, რომ ამისთანა ღამასი, ვარდის ფერი ტუჩები დაუსისხლიანდა.

როდესაც ტორტოლლა, ბოძს თავსედ მოექცა, ქვემოთგან დამბახები გაუმიხნეს, იმ ბძანებით, რომ თუ თოკსედ ჯამბაშურათ არ ითამაშებდა, მოჰკლავდნენ.

— ისტუნე! ტურტოლლაჲ, ისტუნე! უბრძანა ქვემოთგან შეუბრალეებელმა მტანჯველმა.

ტურტოლლამ რომ დაინასა, დამიხნებული ტამბა-

ჩები, მოჭევა თოკსედ გავლა გამოვლასა ზ სტომასსა ჯამბასურად. სან დაეკიდებოდა, სან შესდებოდა, ზ სან ისეას რაღაცაებს ჩადიოდა, რომ ამოდენა ხალხი იკვირ-  
ვიდა.

გრზფინია გაუვითლებული კიდევ უძრავათ იდგა. თვალებიდან ნაწერწკლები სცვიოდა, მწუსარებისა.

— აკი გეუბნებოდი გრზფინიაჲ, რომ ეს ქურდი ზ ავასაკი კამედინიკი არის მეტი. ახლა რასა ჭოვი-  
რობ: გიჟი ვარ თუ არა? ეუბნებოდა შეველიე გრზფი-  
ნიას.

— ისტუნე ტორტოლლაჲ. ისტუნე! აბა გრზფი-  
ნიაჲ, როგორ მოგწონთ თამაშობა! მე ცრუ ვარ, არა?  
დაცინვით ეუბნებოდა შეველიე.

— შემიბრალებთ! ძლივს წამოიღულლულა გრზფი-  
ნიამ.

— არ შემიძლიან გრზფინიაჲ! რაც უკანასკნელი  
ფული მქონდა, სუთასი თუმანი მქონდა, ამ კაცებსედ  
დავხარჯე, რომ დავიჭირე ამ საქმისთვის.

— მაგ სუთას თუმანს მე მოგცემ.

— ჩემი ბეჭედი?

— რაცა ღირდა, იმის ფასსაც მოგცემ.

ის დღე გათავდა, ხალხი დაიძალა, რა ვეღარა  
ნახეს ჯვარის წერა. კავალერი შეველიე შინ იჯდა ზ  
გრზფინიასაგან ფულს მოელოდა.

გრაფინიამ ფული კი არ გამოუგზავნა, მიმართა მთავრობის თხოვნით ზ შეველიე ჩასვეს ცისეში, როგორც ძალდატანების მოძმძარებელი ზ ხალხში უწესობების ჩამომგდები. ძველი ტანისამოსი ისე შემოაცვდა ცისეში ამ უფალს შეველიეს, რომ ტიტველას სორცი უჩნდა, ზრინცის ჩამომავლობა იყო ძართლას თუ არა, ეს არავის გამოუკვლევია, მეზე მთავრობამ გაისტუმრა თავის სახელმწიფოდგან ზ საით წავიდა არა ვინ იცის.

გრაფინიამ ძინც არ დაძაღა ზ ეს კამედიაჩიკი ტორტოლლას შეირთო ქრძათ. ერთმანერთან თანსმობით ცსოვრებდნენ საზაფსულო სასასლეში ზ როდესაც ბაღში, საღამოსედ საღაზარაკო შემოეღეოდათ, გრაფინიას ორ აკაციის სეებს შუას თოკს გააჭიმინებდა ზ ზედ ტორტოლლას ასტუნებდა.

— ისტუნე ტურტოლლავ!

ტურტოლლაცა სტოღა, იმათ მოსუცების სასამდინ მიასწივეს. აი გრძნობა დედაკაცის! —

# კაცოს ცხოვრების თავს გარდასივალა.

(ნ ა თ ა რ გ მ ნ ი ლ ი)

## II.

ვინ იყო დიმიტრიცკი და რა თვისების კაციც, ახლა უნდა მოვასწინოთ მკითხველს: ის იყო, როგორც იტყვიან ჩუწნში თავიღვან კვლავებული კაცი, ოღონდა თავისი სურვილი მოეკლა და ის არ დასდევდა ვინც რა უბედურებას უნდა მისცემოდა; ოღონდ კი თავისი წადილი აღსრულებაში მოეყვანა და, თვთ უკანასკნელს საქმეს გაბედავდა. სალომეია ჰეტროვნასავან რომ შეიტყო იმას უევაზდა კაცი სულგრძელების მექონე, იმდენს ეცადა ეს ხლინკი უგდო, რომ სულგრძელების თვისება მიიცა თვთან, ვითომც და დიდი სულგრძელი ბძანდებოდა; იმდენს ეცადა ეს ღონისძიება მოიხმარა, იზოვნა გარეუნილების სასლი, მისცა დარიგება თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, სალომეია ჰეტროვნას

დანახვამ, რომ ის იყო დიდი სულგობელი კაცი, კეთილის თვისებისა და ეწეოდა ღარიბს სასლონობასა; იქამდის შეატყობინა რომ თუთან სალომეიაც კი მიიყვანა იქ, სადაცა ჩაიგდო დრო თავისუფლად ღაპარაკისა, რა შეუძლიან სუსტს დედაკაცსა, თუ ვადაყვიდა ეშმაკი; მაგრამ ეს უნდა ვიცოდეთ რომ დიმიტრიცკის, როგორც გაქსუებულს კაცსა არა თუ უყვარდა სალომეი, ძალიანაც სძულდა, ის ამისთვის ეტანებოდა, რომ სიმდიდრე ეკება დაეტყუენა, რადგანაც შეიტყო მდიდარიანა.

როდესაც სალიტერატურო სადამო გათავდა, დიმიტრიცკიმ ჰკითხა მისეილ ზამფილისს.

— მითხარით თქვენნი ჭირიმეთ, ვინ არის ქმარი იმ ღამასის და მდიდარის ქალისა, რომელიც თქვენ მე ვამაცანით?

— იმის ქმარსა ჰქვიან ფეოდორე ჰეტროვიჩი, მსახურებდა სამხედროს ნაწილში და მეტად კეთილი კაცია.

— იქნება მართლა? გულუაშლითა ცხოვრობს?

— ძალიან!

— ხვალ იმ ქალმა მიმიპატყა, ჩემი მოსამსახურენი ჯერ არ მოსულან ჰეტერბურდიდან, რომელთაცა მოაქვსთ ტანისამოსი და, აბა ამ ტანისამოსით ხომ ვერ მივალ სანასაჯათა.

— ახა გაშინჯე, ჩემი ფრთა იქნება გამოგადგეთ.

— მართლა იქნება ცოტა ვიწრო იუოს; მაგრამ გვერდებში ანობენ, რაც ტანთ საცემელი დიდია, დაატარაუდებო რე რაც ვიწროა დიდებო.

— წავიდეთ ერთად.

— ერთად? არ შეიძლება, ამისათვის რომ იქიდან სსუტბთანაც უნდა მივიდეთ სანახავათა.

— აქაურს ლიტერატორებს სომ არავის ნახავთ!

— უთუოდ.

— იცნობთ?

— გუშინ მსოლოდ ზირველად ვნახე თქუტნსა.

— ახ, არა, ის არ ეოფილა ჩუტნსა, აღგვიტყვა უნდა მოსულიყო, მაგრამ აღარ მოვიდა.

— მამ ის ვინ იყო, გამოჩენილ ლიტერატორთაგანი, გადავარცხნილი რე შუაში გაყოფილი თმა რომ ჭქონდა, აღამუჟიკურად, ეშმაკსედ თხსულებსაც რომ კითხულობდა?

— ახ, ჭო, იმას სეტი ჭქვიან; ეს იმისი ზოტური გვარია; ეოფელთუს სეტს აწერს თავის ლექსებსა. როგორ მოგეწონათ იმისი ლექსები? მე მინდა იმისი ლექსები დავბეჭდო აღმანახში, რომელსაც მე ვბეჭდავ.

— არ არიან ცუდნი.

— ტუილია, როგორი ცეცხლებრივი გრძნობა მოიბოვება იმ ლექსებში?

— სწორეთ ცეცხლებრივი გრძნობა; ან რა იქნება, შეიძლება ეშმაკი უცეცხლოთ?

— მე მინდა მოგართო უმდაბლესის თხოვნით აგრეთვე თქვენცა, უთხრა მისეილ ჰამფილიმმა დიპტრიცკის; ზღაპრუნი ვარ, უარს არ მეტყვეთ, განაშვენოთ ჩემგნით გამოცხადეი აღმანასი, თქვენის მშვენიერის ლექსებითა... ეველ ლიტერატორები მონაწილენი არიან... ერთი რამ მომეცით, თუნდა ჰატარა მოთხრობა რამ.

— ბატონი ბჰანდები, ბატონი; რა მოთხრობა გინდა?

— რაც უნდა იყოს.

არა, რათა რაც უნდა იყოს, ერთის სიტყვეთ, თქვენ მითხარით, რა უფრო გინდათ?

— იმისთანა რამ, რომელიცა რუსულს კილოს მოუსდებოდეს.

ბატონი ბჰანდები, დიდის კმაყოფილებით; რატომ არ უნდა შევთხო.

— რა ჰირობა უნდა დამინიშნოთ? მე ეველსეღ თანახმა ვარ.

— რა ჰირობა?

თითო თახახეღ გადამანდევინებთ ფასსა, თუ ერთად მრთელს თხსულებაში?

— რასაკვირველია ერთად. არ მასსოფს კარგად

ღ მკონია შაქმან იყო, ერთს რომანში ავიღე ოთხი ათასი თუმანი.

მისეილ ზამფილინი გაუფითლდა.

— ის რომანი ეოფილა, უთხრა მისეილ ზამფილინი.

მაშ, მეც რომანი უნდა დაგიწერო.

ახ, არა, აღმანასში რომანის დაბეჭდვა არ იქნება; ისე ზატარა მოთხრობა რამ დაგიწერეთ... ასე რომ სამი თაბასი გამოვიდეს ბეჭდვაში.

რადგანაც აგრეა, ზატარა მოთხრობაში შეიძლება ცოტა გამოგართო; ასე რომ მოთხრობაში ნახევარს ფასს დაუჯერდები.

— არა, არა, კოსოვ თაბასობით გამიჩივდეთ, ისე არ შემიძლიან.

— რას მომცემთ თაბასში, როგორ გკონიათ?

რა ვიცი, როგორა ფიქრობთ, რა უნდა მოგცეთ? ოცი თუმანი?

— ოცი თუმანი? რაო? მრთელს თაბასში ოცი თუმანი! თქვენს გკონიათ ადვილია მრთელი თაბასის დაწერა? ან თუმანსაც არ დაუჯერდები თაბასში.

— ეგ როგორ შეიძლება, მე მაგდენი მოცემა არ შემიძლიან.

— თქვენს არ შეგიძლიანთ? ეგ თქვენს ნებაა, ვისაც არა აქვს შეძლება მთელია.

მისცილ ზამფილიჩს დიღად ეწეინა შეუძლებლობის გახსენება. იმას ეს დიღათ სწეინდა, ვინც იტეოდა შეუძლებელიაო.

— მომიტევეთ, მე იმისათვის კი არ გეუბნებით, რომ ძაგ ფულის მოცემა შეძლებება, ამისათვის გეუბნებით, რომ . . . .

— მე გარწმუნებ, რომ თქვენ უოფილიყავით, არც თქვენ დასწერდით ამასეუდ ნაკლებ ფასათ ტევილს ვამბობ?

თუ რომ თითონ მისცილ ზამფილიჩი იქნებოდა მწერალი; თუ რომ იმას დაეუჭდა რომელიმე თავისი სტატია, მაშინ რასაკვირველია დიდგულათ იტეოდა: მე არ არის ეჭვი, ღირსი ვარ ეგ ფასი ავილო ჩემს თხსულებაშიო, მაგრამ ის მოხსველი კი არ იყო, სწერდა მხოლოდ პროექტებს სსუა ზ სსუა სავანსეუდ ზ ამასაც ისე სწერდა, როგორცა სწერენ დიდროანი კაცები, სსუას რომ აწერინებენ ზ თავისად ირქმევენ. სსვის დაწერილს პროექტს, რომელსაც თავისას ემანდა, ჯერ წაუკითხავდა სოლმე მამასა ზ აკვირვებდა თავისის იშვიათის ნიჭით, ართმევიდა ფულსა გადასაწერს კარგის ხელით, რომ წარედგინა მთავრობისათვის.

— შეილო, რას შერები ძავას, ვინ გაიკონა გადაწერაში ძავდენის ფულის მიცემა?

— რა გქნა ძამავ, უბრალო ზინარს სომ არ

„მოცემ კადანაწერად კადანაწერად უოველთჳს ერთი ჩინოვნიკი შეავს შეკულებული ჭ იმას ვამღევ. ჩინოვნიკს, აბა როგორ შეიძლება ცოტა მივცე.“

— ჭო, ეგ სსჳა არის, ეუბნებოდა მამა ჭ ამღვდა იმ ფულსა, რასაც შეილი ეტუოდა, ესე იგი იმ ფულს, რასაც კარიგებოდა შეილი ჰროექტის შემთხვეულსა.

რომ დასწერდა ჰროექტს მისეილ ჰამფილიჩი, გააკეთებდა მაშინ სადილსა, მოიწვევდა თავისთან სამსახურში მყოფთ ჩინოვნიკებსა ჭ ეველას უკითხავდა იმ დასწერილს ჰროექტსა. ჩინებულის სადილის გამო ჭ დაზატიყებისათჳს, ეველანი ჭჰოვებდნენ რომ ჰროექტი მშენიერად იყო დასწერილი, მხოლოდ ჴოგი ერთს ალაგს შეცვლა უნდოდა. მისეილ ჰამფილიჩი, ეველას აზრზედ თანახმა იყო, რომ სამღვილად ჴოგის რჩევით უნდა შეემოკლებინა, ჴოგის რჩევით უნდა ჩაემატებინა, შეეცვალა ჭ სსჳა. ეს რასაკვირველია მისეილ ჰამფილიჩისათჳს მნელი იყო ჭ ამისათჳს რაკი სადილი გათავდებოდა, ის ჰროექტიც არსივს მიეცემოდა შესანახავად.

ეს იყო მისეზი რომ მისეილ ჰამფილიჩის მოსწონდა სსვის დასწერილი თხზულება ჭ უფრო იმ გამოჩენილის ჰეტერზუზდის ლიტერატორისა, რომელიცა

მიხეილ ზამფილიძის ნიჭით და წერით თავისთან აღარებდა. ეს იყო დიმიტრიცკი.

— მე ჯერ არაფერი არა გამომიცდია არა ჩემი, მიუგო იმან მშვიდობიანის სმით. მე უფრო პროექტებს ვწერ და ჩემს აზრებს. შესახებ ხალხის განათლებისა.

— ოო, მე მაშინათვე ავი არ მივსვდი, რომ თქვენს სამინისტრო კაცი ხართ; პროექტის დაწერა შესახებ ხალხის განათლებისა! ეგ სუბრობა საქმე არ არის. ეს სულ ერთია, რომ ერთის საზოგადოების ხალხს თვალი აუხილო, მეორისას დაწერულბული გული გაუმთელო. ოო, ეს სუბრობა საქმე არ არის! მაშ გაგათათ რაღა საქმე.

— მე თანახმა ვარ; როდესაც დაბუჭდავ თქვენს მოთხრობას, მაშინათვე ფულს მოგართმევთ.

— ოჰ, არა, უმჯობესია ფული ზირველად მომცე. აი, სტოლსაც მიუჯდები ახლავე დასაწერათ.

— ჩემთვის მაინც სულ ერთია. მაგრამ მაგდენი ფული ახლა რომ არა მაქვს. მინამ ნება მიბოძეთ ნახევარი მოგართოთ.

— ძალიან კარგი. ოთხი თაბახისა, ორასი თუმანი.

— არა, ორი თაბახისა, ამისათვის რომ აღმანახი, დიდი გამოვა.

— კარგია ერთი თუ ღმერთი გწამს! რამდენიც წიგნი სქელა, იმდენი კარგია. ეს ეველამ იტის. ორასი თუმანი აი!

მისეილ ზამფილიჩს იმდენი შნოც არა ჭქონდა რომ უარი ეთქო.

მეორე დღეს იმან გამოუცხადა თავის მამასა, რომ თავის ალმანახისათვის იუიდა გამოჩენილის ჰეტერბურდის ლიტერატორისაგან, ჩინებული მოთხრობა სუთას თუმანათ ჭ ეს ფული ახლავე უნდა მისცეს.

— მაგას რას ამბობ მიშა, ხომ არ გაგეკუბულხარ? მაგაებით შენ მე გამაკოტრებ!

— მეწე რა ძვირია მამავ; თქვენ იცით, რა სახელია გამოჩენილის ჰეტერბურდის ლიტერატორის თხზულების დაბეჭვდა? მე დავაბეჭვდინებ ათას ორას წიგნსა, მაგრამ ვფიქრობ ორი ათას ოთხასი დავაბეჭვდინო, ამ წიგნებს მაშინათვე დაიტაცებენ, თითო მანეთად რომ გაიუიდოს, ავიღებთ, ორი ათას ოთხას თუმანსა!

— ოი, მართლა თუ!

— ღმერთმანიცის!

— რადგანც აგრეა, მაშ სუთასი თუმანი დაკარგული არ არის, მაგრამ ახლა სამასი თუმნის მეტი რომ არა მაქჷს. ჭა, აპეკუნის ბილეთი დავახურდაოთ, რას იტყვი მიშა?

— ეკ სულ ერთია.

როდესაც დიმიტრიცკიმ ფული გამოართო, გასწივა მოსკოვის შესანიშნავ საგნების სანახავად, ქირით დაჰყრილის ფაეტონითა, ჯერ იეიდა თავით ფესმდინ ტანისამოსი, კოსტა შლიაზები, ფერხატკები. ერთის სიტყვით მოიარა რაც კოსტა მავაზიები იყო; მერე გაიწყო ღარიბი ოჯახობა გარეუნილებისა და მესამე საათზედ, როგორც ახსოვთ მკითხველთა, მოვიდა სანახავად სალომეია ჰეტროფანასთანა.

სალომეია ჰეტროფანას ქმარი, ფეოდორე ჰეტროფინი, იმას ძრეულ მოეწონა.

როდესაც ელაპარაკებოდა ფეოდორე ჰაულინი დიმიტრიცკის თავის სამხედრო სამსახურში თავს გადასვალსა, ეს უურს კი არ უკვებდა, ამასა ფიქრობდა, ეჰ, ჩემო ძმობილო, რა ეშმაკათ გინდოდა ცოლსა თხოულობდი. თუ რომ ცოლი არ დავიშლიდა, ბარემ ათას თუმანს მოგიკებდი ქაღალდში. ძალიან ცუდათ არის შენი საქმე ჩემო ძმობილო; ძალიან შემცდარწარ ცოლი შევირთავს. ეკ დედაკაცი ისეთს საქმეს გიხამს, რომ ბოლოს მშიერი მოკვდები . . . მომიტყევე ძმობილო, მაგ დედაკაცს მე მოვიგდებ სულში! ისე მოვიგდებ, რომ რაც რამ გაბადია, სულ გამოგწურამ! . . .

ამ ფიქრში რომ იყო, შემოვიდა სალომეია ჰეტროფანა და კვახსოვს, როგორ შეიყარნენ ღარიბის ოჯახ-

სობაში. იქ მეორედ ნასვის შემდგომს, შესამედაც შეიყარნენ, მეოთხედაც ზე როდესაც იმათი სახლის საქმესულ წვრილად შეიტყო სალომეისსავან, იტყოდა დიმიტრიცკი თავის გუნებაში.

— უმკნავესო დედაკაცი! რა უგუნური ქმარი ჰქვავს ზე სულელი! რა ჰკვუა უქნია, მრთელი თავისი შემლება ჩაუგდია, ცოლის კელში! ეს ჩემთვის მრთელ გარგია. მე შენ მოგიგდებ კელში შენის შემლებით ჩემო სულიყო სალომეია ზეტროვნა. წავიდეთ ერთად, მოვმორდეთ მოსკოვსა, შენს ქმარსა, მე შენ წავიყვან მაგ შენის ფულებით სამსრეთისაკენ. იქ მშვენიერი ბუნებაა! იქ მსიარულება მიკველის. თორმეტი ათასი თუმანი კარგი ფულია, გვეყოფა საქეიფოთ. წავიდეთ სალომეია ზეტროვნა, წავიდეთ დროთი! . . .

რა ამასა ფიქრობდა დიმიტრიცკი, წასვლის თავდარიქს შეუდგა; ამისათვის საჭირო იყო თანწასაყვანად კაცი, იქაური არ უნდა ეოფილიყო, თორემ გასცემდა.

— მისვალთ. ჰკითხა მისეილ ჰამფილიჩმა?

— უნდა წავიდე, საშური საქმეები მაქვს ზე რამწამს წავალ აღთქმულს მოთხრობასაც გამოვგზავნი.

— როდესაც გამოეთხოვა მისეილ ჰამფილიჩს, დიმიტრიცკი წავიდა ფაეტონით შასტავისკენ ქალაქს კარეთ, სადაც ელოდა ეკიზაქი სამკნავერო; იქ რა ჩაჯდა ეკიზაქში, თან მოუჯდა ერთი ქალი, ზირბადე ჩამოფა-

რებული. ეს იყო სალომეის ჰეტროვნა. იმათ გასწიეს.

— ჩემო სულიკო სომ არ დაგავიწყდა ჰადრო-  
ქნი?

— შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე არა დამვიწყებიაო.

— ოჰ, რა საესე მაქვს გული, სისარულით ზ  
სიეჭარულით!

ზასტავაში, ჰადროქნი რომ მოითხოვეს, წიგნი  
ჩაწერეს: ფეოდორე ჰეტროვი იალიკოვი, თუის მეუ-  
ღლით, გამკსავრდნენ თავიანთ მამულშიო.

### III.

წარსულს თვეების ნომრებში იმკვარ ჰირებსედა  
გვეონდა ლაპარაკი, რომ კაცი როგორც იყო აიტანდა  
იმათ ქცევასა, ახლა უნდა გავიცნოთ ის ჰირნი, რომე-  
ლნიცა არიან აუტანებელნი ზ ემიებენ შემთხვევას, რა  
სახითაც უნდა იყოს, ეგებ საიღამ რასმეს გამოჩინენ.  
ჩუჭნ გვეძინთა მრჩო კაცის თუხება ეველამ იცოდეს.  
ერთი დრო აქვს იმას მოსვენებისა, ეს დრო მაშინ  
არის იმისათუ, როდესაც მუშუს სწოვს ზ როდესაც  
სრულებით გამოსწოვს ზ აღარა დარჩებაო, მაშინ ოთხ  
კუთხივ იეურება, საიღამ რა გამოწოვოს ზ გამოჩინეს.  
ღმერთმა დაიფაროს ეველა, მრტო კაცის ნათესაობისა-  
გან, ვაი იმის ბრალი ვისაცა ჰეავს, ან მამა, ან მამა,

ან ამხანაგი მჩხო, ის ეოველთჳს თვალუურს კადვენებს, თუ საიდან რა გავლიჯოს.

ამ გვარ მჩხო კაცებს ეკუთნოდა ფილიპე სავინი, მებატონე კიევის გუბერნიისა. ბუნებით რა სუსტი აგებულების კაცი იყო, დროებით იმასაც გამოჩნა ჭ წაართვა წლოვანებასეღ ადრე ჯანი; მრთელი თავისი სიცოცხლე გამოჩენაში დაადამა, იმას არა ჭქონდა რა ჭ შეიქნა მებატონე, ცოლს გამოჩნა დიდს მსითევს, მამულებით სავსეს; თჳთან არა ჭქონდა მამულები ჭ არ ვიცით როგორ მოხდა, შეიქნა მამულების ჰატრონი, რომლებსედაცა ჭქონდა საბუთიანი დოკუმენტებიც. ცოლშვილიანობასაც კი აწუსებდა თავისის გამოჩენით ჭ მაშინ მოისვენა იმის ცოლშვილმა, როდესაც გამოჩნდა მამულების დავა. ის მისდევდა დავას ჭ მაშინ ცოლი შეიქნა შვილების მზრუნველი კარგად კანრდისათჳს.

ნამდვილი და ჭეშმარიტია, რომ ჰირველნი მასწავლებელნი ჭ გუვერნიორები არიან მშობელნი, რასაკვირველია თუ სიკუდილით არ წაართო დმერთმა შვილებს ან დედა ან მამა. მაგრამ ჩუწნი მშობელნი რა არის მოსვენებით ცხოვრება ჭქონდეთ არ შეწუსდნენ, თავიანთ შვილებს უჭერენ გუვერნიორებს ჭ გუვერნანკებსა რადგანც ფილიპე სავინს უნდოდა თავისი შვილები კარგად კანათლებინა, ამისათჳს საჭირო იყო ფრანცუ-

ზული ენა ზე დაიჭირა გუვერნანტკათ ერთი ფრანცუ-  
ჟანკა იმ დროსი, როდესაც მრთელი საფრანგეთი  
მირეულ-მორეული იყო კარევილებისაგან. ამ ფრანცუ-  
ჟანკას ერქვა მადამ ვოჟიო.

მადამ ვოჟიო საფრანგეთში შეჩვეულიყო ტრფობას  
ზე თუ აქაც სიუჟარულის საგანი არა ჰქონდა, ვერ გას-  
ძლებდა; ამას მიიბარეს ემაწვილი თორმეტის წლისა,  
გიორგი. მადამ ვოჟიო ცდილობდა ემაწვილის გონება  
გაესსნა ზე ამისათვის ზოგჯერ განათლებისათვის საჭირო  
იყო სიუჟარულსედაც ეთქვა რამე.

დედ-მამას გიორგი მიიჩნდა ბაშვად, მაგრამ მადამ  
ვოჟიო ისეთს აზრებს უდებდა თავში, როგორც შეშვე-  
ნის ვაჟკაცსა, ზე თითონაც ისე კობწიაობდა, რომ თან  
ზე თან უფრო ზატარავდება იფიქრებდა კაცი.

როდესაც გიორგი შეიქნა თხუთმეტის, წლისა თუ  
თექვსმეტის წლისა, მადამ ვოჟიომ გადაიფიქრანა ის უგანას-  
კნელს კურსში; ის კარვად ლაზარაკობდა ფრანცუზულს,  
მაგრამ იმ ენაზედ ჯერ სიუჟარულსედა არა გამოეთქვარა.

ზირველად რა უყვავებდა, მადამ ვოჟიო ეუბნებოდ:

— აი როგორ უნდა უყვარდე დედა შენსა, ხედავ  
როგორი მიყვარსარ?

ამითი ვითომც შეიძინა დედობრივი უფლება, ზე  
როგორც შეილს აკოცებენ, ის უფლებაც უნდა მოე-  
ზოვებინა.

— ოჰ, რა თვალები გაქვს, რა საუფარელი ემაწვილი ხარ! იცი რა გიორგი, ჩემ სიცოცხლეში ჰირველბდა ჯერმნობ რომ გიუვარვარ.

ის ჩიოდა რომ, იმისმა სიუმაწვილემ ისე განვლო, არა ჭეუარებია არაფის ბ არცა სცოდნია სიუვარული.

— მე არა შევანდა შეგობარი, იუავ ჩემი შეგობარი, მაგრამ ჩუმათ კი რომ არაფის შეშურდეს ჩემი ბედნიერება.

ამ გვარმა საუბარმა უმანყო გული გამოუცვალა გიორგისა, რა არ იცოდა ჯერ ეს ბ არ გაეგებოდა უფროს უნცროსობა, იმას შეუვიდა სიუვარულის გრმნობა გულში. იმისი ოსტატი ქალი რა ნახა გული შეუცვალა, ელოდა იმ წუთს, როდესაც გიორგი მოესვკოდა. როდესაც მოვიდოდა ის დრო, რომ მოთმინებიდგან გამოვიდა და უნდოდა მოეკლა გულის სურვილი მოქმედებით, შეძინებული გიორგი, გაექცა იმასა.

ბუნების მოტეუება მსოლოდ ერთხელ შეიძლება, ამას არა ფიქრობდა მადამ ვოჟე. ის ჰირველად ამასა ჭფიქრობდა, რომ ქალწულებს გიორგისა იყო მიხეზი, რომ ასე ფრთსოდა.

— ოჰ, რა ლამაზი ხარ ჩემო გიორგი! უთხრა ერთხელ რა თავი შეაუდნო გიორგის მხარსა. აბა შემომხედე გიორგი, — უთხრა ვოჟიომ რა გამოართო კელი; — გამიდიმე . . . ოჰ, რა მშუენიერი ხარ! . . .

ქალს უნდოდა მოხვეოდა, მაგრამ გიორგი ისე გაწერა, რომ სასესედ აღმული ასდიოდა, ჰქონდა კელი ვოჟიოს და გავიდა გარეთ.

რომ ნახა ოსტატმა, შევირდი მოწილეებს აღარ უწევს, გაჭევა თან და უძახოდა:

— ეგ რას ნიშნავს გიორგი? ჩემის ღვაწლის და ამავის ნაცვლად მიშვრები მაგას, რომ არ შემოწილები და არას მიჯვრები.

გიორგიმ როგორც შემომწერაღმა გაუარა კვერდსედ.

— გიორგი, შენ მე მაჯავრები! მოთმინებითგან გამოგეყვარ!

გიორგიმ გამოსტაცა კელი, როდესაც ვოჟიომ მოჭკიდა.

— ახ, ვკვდები! დაიძასა ვოჟიომ. გიორგი, მე ვკვდები, მიმიევახე ოთახში...

გიორგი კიდევ მოშორდა სრულებით.

ეს ამბავები იყო დედ-მამის ცხვირ წინ, და იმათი თვალები ამას ვერ ხედავდნენ.

მაღამ ვოჟეს უკვირდა, თუ რამ შეუცვალა გიორგის გული, რომ მოწილებას აღარ უწევდა, უნდოდა ეთქვა დედ-მამისათვის, მაგრამ ეშინოდა გიორგის არ გაემსილებინა.

— არა, ფიქრობდა ვოჟიო, აქ უთუოდ სხუა რამ

გარეშე მიხეხი არის! ამას მე ისე უუფარდი, რომ თავის დღეში მე ამას ფიქრათაც არ მოვიტანდი.

მადამ ვოჟიომ იმ დღიდგან დაუწყო სვერს გიორგისა ზე ყურბდლებით თვალუურს აღდენებდა. იმან შეიტანა ეჭვი, ერთს სნიერს გასათხოვარს ქალსედ, რომლის სახელი იყო იულია ზავლოვნა, რომელიცა იყო დიდი მეტობანი სიემწვილითჟე ღიუბოვნა იაკოვლენასი ზე რომელიცა სშირად დადიოდა იმის სახლში.

— ოჲ, ახლა კი მივხვდი, იტეოდა ვოჟიო, ტყვილათ კი არა ჰკოცნის ხოლმე გიორგისა ის წყეული იულია ზავლოვნა!... შერე ემაწვილს ძალიან კარგად ესმის, რასაცა ნიშნავს კოცნა. ისე უკუნური როგორ ვიყავი რომ ამას ვერ მივხვდი!..

ეს უნდა ვთქვათ, რომ იულია ზავლოვნა, ვოჟიოსედ ოცი წლით ზატარა იყო, თუმიცა ხანში შესული იყო.

როდესაც იულია ზავლოვნა სტუმრათ მოდიოდა, ვოჟიო თვალუურს დიდის ყურბდლებით აღდენებდა საიდუმლოდ; ეურს უგდებდა იმათ ღაზარაკს ზე ეოველს იმათ მისრა მოსრას, როდესაც ჩვეულებრივ იულია ზავლოვნა ჰკოცნიდა გიორგის, ვოჟიო სწავლის დროს არიგებდა რომ არ შემუენის იმას, ნება მისცეს ქალს კოცნისა, ამისათვის რომ ის ზატარა აღარ იყო.

ხოკჯერ, როდესაც ღაზარაკი ექნებოდათ, იულია

ზავლოვნა დაიწებდა სოლმე ღიუბოვა იაკოვლევენასთან ჩივილსა, რომ ბედისგან დაჩაგრული იყო; რომ ვიკტორ ანდრეიჩი, იმისი საქმეო, რომელსაცა უყვარდა, უთუოდ ჯვარს დაიწებდა, თურამ იმის დედას არ დაეშალა.

— ნეტა ვიცოდე რასედა სწუსან? უთსრა ღიუბოვა იაკოვლევენამა.

— რასაკვირველია შენ რომ ქმარი გეყავს, მამას იტყვი. შენ შვილები გეყვანან ზე მეტი ბედნიერება რაღა იქნება.

— როგორ თუ რაღა, უზახუსა ღიუბოვნა იაკოვლევენამა ამოხვრით, შენ რა იცი ჩემი მწუხარებისა.... რა იცი რომ სწორეთ ვიკტორ ანდრეიჩი შეგირთავდა?

— ძალიან კარგათ ვიცი, უთსრა იუღია ზავლოვნამ, როგორ არ ვიცი; თუ არ უნდოდი ჩუწნსა რაღათ დადიოდა. ეჭვ, გათავდა ჩემი ბედი, სიკვდილამდინ გასათხოვარი უნდა ვიყო.

რა გაეწუობა, რასა იქ.

რომ ჯვარი დაეწებ, ახლა უეჭველათ ქალი მეყოლებოდა, რომელსაცა დავარქმევდი ღიუღმილლას შენი გიორგის საპატარძლო იქნებოდა.... გასსოვს რომ მითხარბი, ზირველად შვილი ვაჟი მეყოლებათ, მეც, გითხარბი ქალი მეყოლება მეოქი ზე დაუზირდით შერთავსა.

ამ სიტუვასუდ იულია ჰავლოვნას ტირილი მოუვიდა.

გიორგი ხშირად უჯდებოდა გვერდს იულია ჰავლოვნას, ელაპარაკებოდა, ბაღშიაც დასდევდა სასეიროთ, ემსახურებოდა, რა არის ესამოვნებიანა ზ, ერთის სიტუვით, თითქოს ვოჟიოსავან გამოქცეული ზ დევნილი, იულია ჰავლოვნასთან ჰპოვებდა მიფარველობასა. იულია ჰავლოვნამ ეს რომ შენიშნა, გამოისატა თავში, რომ გიორგის უვეარდა ზ ჰკვირობდა, თუ თოთხმეტის წლის ემაწვილს ესე ადრე რათ ჩანერგოდა გულში სიუქარულის გრძნობა.

უნდა ვთქვათ რომ, იულია ჰავლოვნას გაეტარებინა თავისი სიემაწვილე, შექურთებულს მამის ხელში ზ დაბადებითვან არ გამოეცადნა, თუ როგორის გრძნობით ივეარებდნენ კაცები ქალსა, ან არშიეობა რა იუოის სრულებით უმანკო იუო როგორც სულით, ისე გულით; მაგრამ როდესაც მოუვიდოდა ფიქრი სიუქარულხედ, ტანში ქრუნტელს დაუვლიდა ზ მოსწუურდებოდა. იმას უნდოდა ჰვეარებოდა ვინმე. უცვებ გიორგიმ რომ უურადღება მიაქცია, ამ ახალმა, მოულოდნელმა შემთხვევამ გააკვირვა ის.

— დიერთო ჩემო! დიერთო ჩემო! ფიქრობდა ის: ეს საკვირველია! ასე უცვებ რამ გამოცვალა? . . . დიდ სიამოვნებათ მიანნია როდესაც ჩემთან არის . . . მეონია

მადამ ვოჟემ ეს შენიშნა . . . ისეთის თვალებით გვიყურებს და ქვემ ქვემ იცინის, რომ იმან იცის სწორეთ. . . ეტობა დიდი ხანია უუვარჯარ და მკვი გვიან მივხვდი სწორეთ! . . . საწყალი გიორგი! . . . წინათ გრძნობაა ეს, სხუა არაფერი; ის ჩემს გულში ღიუღმიღლას ეძიებს . . . როდესაც დამაცქერდება, თითქოს იმისი თვალები მეუბნებიან: მომეცი შენი ქალი ღიუღმიღლა, თორემ შენ შეგირთავ! . . .

რამდენსაცა ფიქრობდა ღიუღმიღლა ზავლოვნა, იმდენს უფრო რწმუნდებოდა, რომ გიორგის ძრიელ უუვარდა. ამ ფიქრების შემდგომს, როდესაც შესვდებოდა გიორგის, სცხვენოდა თითქოს, ვრდიდებოდა მარტო არ დარჩენილიყო იმასთან, როდესაც მადამ ვოჟე შემოვიდოდა, გაწითლდებოდა და ბოლოს წავიდოდა შინ, რა ინივლებდა, თავის ტკივილი მომივიდოდა.

აღრე რომ მსიარული იყო იუჯია ზავლოვნა, აღრე რომ დაივლიდა მესობლებს და ვეელას ახალ ამბავებს შეატობინებდა, რომლისათვისაც უუვარდა ღიუბოვა იაკოვლევენას, ახლა ის მსიარულებაც დაეკარგა და წასვლა მოსვლაც ვეელასთან მოსწვევითა. იმისი მრთელი ქონება ის იყო რომ ერთი სახლი ჰქონდა, რომელიცა გაქირავებული ჰქონდა და თუთონ კი მესონინში იდგა. ამითი სცხოვრებდა და ეს ქირა ჰყოფნიდა. რად-

განც თითქმის უოველდღე ღიუბოვა იაკოფლეფნასთან იყო სადილ ვასშმათა.

როდესაც თავის ტკივილი მოიგონა იუღია ჰალოენამ ზე შინ წავიდა, სამს დღეს აღარ გაუვლია, ღიუბოვა იაკოფლეფნას სახლში გაუკსავნის კაცი, მაგრამ არ მოვიდა, რადგანაც ქვეშაგებში იწვა, სადაცა ფიქრობდა სულ გიორგიხედ. ბებერი დედაკაცი ჰყვანდა მოსამსახურეთ, გვერდს უჯდა ზე მეტად მობესრდა იმისი იე უოფნა, რადგანაც თავისუფლად ფიქრი უნდოდა.

— მიიწოვით ქალბატონო რამ, ოფლი მოგივათ ზე კარგათ ვასდებით, ეტეოდა დედაკაცი. მე გატეობ რომ ვაციებს, უთუოდ შეციფეებელი ხართ. გუშინ ღრუბლიანი დღე იყო, იქნება ბაღში რომ ჩაის მიიწომეფდით, შეეციფდათ, მიიწოვი, კარგია ქალბატონო!

— თავი დამანებე ღმერთის გულისხათუს, ავი გეუბნები არ შემომლიან! მამეოფე თავისუფლად, შენს ოთახში ვადი!

რომ მოეშორებინა თავიდგან ეს დედაკაცი, განგებ მითომ დაიძახა იუღია ჰალოენამ, — ბოლოს მარტლად ზე, ჩაემინა. იმან ნახა საშინელი სისმაზრი: იმან ნახა, დედ-მამანი ცოცხალნი ჰყვანან, თუთონაც ემაწვილი ქალი არის, საზკის წინა დგას, იუურება შიგ ზე უსარიან თავისი სიღამაზე, ის არის მორთული სანატარძლოთ, მოღის ქმარი უცებ, ეს არის გიორგი; იუღია

ზავლოვნას უნდა მივიღო ახლო, მაგრამ გიორგის მამა, ვოჟიოს სახით, წამოიღვება წინ ჭ ეუბნება: მოითმინეთ! ეს რა ანბავია? მოდიეთ დასხედით კუთხეში! საწეაღი იულია მიდის კუთხეში, ჯდება ჭ იქიდან უეურებს გიორგისა, რომლის გამო იტანჯება, თუ რათ გაყარეს ერთმანერთს. დედას შეებრალა ქალი, როდესაც მამა იქით მიბრუნდება, დედა დაუჭერს კელს იულიას ჭ გიორგის, კელი კელს ჩაუფუფლის ჭ შეაერთებს. როდესაც მამა დაინახამს, ეუბნება: ეს რა ანბავია? შევაერთე, უნასუსებს დედა. მამ თუ აგრეა, გიორგი ბურნუთი მოსწიე ჭ მიუშვერს მამა კოლოფსა. მე არ ვეწევი, უნასუსებს გიორგი. გამოთავი სულიყო მოსწიე, ეუბნება იულია, თორემ სახლითგან გამოგადებს. გიორგი ეწევა. აი ეკ მიუვარს, ეუბნება მამა, მორჩილება მიუვარს, თუ კი ცხვირი გაქვს, უნდა მოსწიო კიდევ; უფრო მაშინ, როდესაც უფროსი გეუბნება. ამ დროს შემოესხვევიან ხალხნი ჭ ულოცაძენ იულიას, ქრმის შერთვასა. ნეფე დედოფალი ტანციობენ, შერე თავდება, ვეკლანი თავთავისთვის მიდიან, არეულება არის, იულიას უჭირავს გიორგი მაგრამ, რომ არ დაეკარგოს. უცვებ თენდება, უეურებს რომ გიორგი კი არ უჭირავს კელში, იმას უჭირავს მშვენიერი ქალი, განათხოვარი, ახალგაზდა.

— ახ, ღმერთო! ეუბნება იულია ზავლოვნა ქალსა,— მე შენ ვერ გიცანი.

— იქნება მართლა დედაჯან! შენი ლიუდმილლა ვერ მიცანი?

— რაო? ლიუდმილლაო? განკვირვებით ჭკითსავს იულია. სად არის გიორგი?

— ის შინ არის, ახლა იქ ვიუაფი, ლიუბოვა იაკოვლევისას.

— შერე ნასეთ ერთმანერთი?

— ვნასეო.

— ოჰ, ღმერთო, ეს რა ვქენი? რათ მივე წირობა გიორგის დედას, ჩემს ქალს ლიუდმილლას ცოლად მივცემ მეთქი! არა, აღარ შემიძლიან!

— როგორ თუ არა, დედავ, აკი შეჭფიცე,

— არა, არა, არან გვით არ შეიძლება!

— რისთვის დედაჯან? რა არის მიზეზი? მე სომ მოგკედები; უთხრა ტირილით.

— სჯობს რომ მოკვდე!

— რისთვის, დედა ჩემო, ჩემო სულო!

— ეგ საიდუმლო არის ჩემი.

იულია ზავლოვნამ მეტი აღარა უთხრა რა ზეგაიქცა ლიუბოვა იაკოვლევისაკენ. ლიუდმილლაც უკან გამოუდგა. გიორგი ზე ამისი დედა მიეკებნენ. გიორგი მოესხევა ლიუდმილლას, ზე ლიუბოვა იაკოვლევისა ესხევა იულია ზავლოვნას, რომელსაცა ჭკოცნის.

კამიშვი, კამიშვი, მე თანახმა არა ვარ! ეგ არ შეი-

ძლებს, ევირის იულია ჰავლოვნა. ნებას არ მივცემ ჯვარი დაიწერონ. წადი გიორგი, მოშორდი!

— როგორ თუ მოშორდი? ეუბნება გიორგის დედა. — მე რე აღოქმა რომ მომეცი?

არ შემიძლიან!

— რატომ არა?

— ეგ საშინელი საიდუმლოება არის! გამიშვით! გამიშვით, თორემ მიდიან გიორგი ზ ლიუდმილლა, აკერ მიდიან... წაუდნენ ერთად... აბა ახლა დავი-ღუპე აი!

უნდა გამოუდგეს იულია ორივეს, მაგრამ ფეხები არ მორჩილებენ, დაეცემა მუსლებსუდ გიორგის დედის წინ, ესვენება მოეწივნენ ზ განაშვებინონ ლიუდმილლა.

— მოეწიე, მოეწიე! იმეორებს იულია ჰავლოვნა დანოქებული; მე შენ გავიტყვები ზ, კეტევი; გიორგი ჩემი ქმარია, ლიუდმილლა იმისი ქალია.

— ქალბატონო, ქალბატონო რა ამბავია? რა შემოვარდება იულიას მოსამსახურე დედაკაცი ოთახში, უევირის.

ოჰ, გამიშვი, მე თითონ მოვკვდები, მაგრამ მოეწიე, მოეწიე იმ შეზვენებულს ჩემს ქალსა, ქმარს მართმევს, იმეორებს ბურანში იულია ჰავლოვნა.

მოსამსახურე დედაკაცი თავს დასტირის.

აკი მოვასწენეთ, ჩაი მირთვით ლიმონითა მეთქი,

ოული მოკვიდოდან! აბა, რა ექნა, ახლა სათლივამათ გადაგექცა, ეუბნებოდა ტირილით მოსამსახურე დედაკაცი.

იულია ზავლოვნა უცებ შესტა მიღში, გამოეფემა; ცივი ოული წურწურით მოსდიოდა სასუსედ.

-- რა ანაჟია ქაღბატონო? . . . აი, ოული მოუდის ახლა.

იულია ზავლოვნამ დაიწყო ტირილი.

რა გული მოიგრილა ტირილით, ის დაშვიდდა.

— რა სისულელე ჩავიდე თავში, ფიქრობდა ის, როდესაც გაერთო კიდევ იმის სურვილში რომ წასულიყო ლიუბოვა იაკოვლევისთანა. ჭეშმარიტათ მე თითონ არ ვიცი, რისა შემეშინდა აქ რა საკვირველია, რომ ემაწვილს უეკარვარ . . . მე თითონ მიუვარს ისა, როგორც ჩემი შვილი . . . მე დაწმუნებული ვარ იმას მოსწეინდა, ის მადამ ვოჟიო, თავისის ფრანციზულის ენიანათ! რასაკვირველია, რომ გრამმატიკას გამოექცა, ჩემთან დროს მანც ვატარებს. ემაწვილის კაცისათვის დროს ვატარება საჭირო არის.

ლიუბოვა იაკოვლევისსაც ამ დროს მოუვიდა კაცი, შესატყობად, თუ როგორ იყო იულია ზავლოვნა & სთხოვდა მისულიყო იმათსას.

— არ შემოდინან, არ შემოდინან, წარმოთქვა იულიამ—თავი დაუკარ ჩემს მავიურად. კაცი წავიდა &

როდესაც იულია ჰაულოვნა დამშვიდდა, იოიქრა: რა სუფა დაუძმართე ტუვილი ავათმყოფობა, მოდი ავდგები ზ წავალ. წამოდგა, ჩაიცო ახალი ფარხის ტანისაძმოსი, შეისუდა სარკეში, ათჯერ მკტათ გადაიფარცხნა თავი ზ ვნახოთ ამ დროს შემოვიდა გიორგი.

იულია ჰაულოვნას კინაღამ გული შეუწუსდა, ამ მოულოდნელის მისვლით.

— ახ, იულია ჰაულოვნა! უთსრა გიორგიმ, რა ჰკოცნიდა ჩუულოებრივ იმის სელებს; ჩუწნ ასე გუკონა ქეშაგებში წეასო.

— დიას ძალიან ავათ ვარ გიორგი, უთსრა იულიამ, რომელსაცა გული უცემდა ზ რომელმაცა კელი გამართო, დაჯდა ზ გიორგიც გუერდით მოუჯდა.

— სუსტათა ვარ... უველასი მეშინიან თითქოსო... არ ვიცი რა შემართება.

იულია ჰაულოვნამ ტირილი დაიწყო; გიორგიმ დაუჭირა თავი, რომელიცა თან ზ თან ეშვებოდა გიორგის მხარსედ ზ ბოლოს დაეცა.

— რა გეძმართებათ, იულია ჰაულოვნა? უთსრა გიორგიმ გრძმობით.

იულია ჰაულოვნამ უფრო ტირილი დაიწყო.

როდესაც იულია ჰაულოვნასთან მოკითხვის კაცი მოვიდა ზ სთხოვა კიდევ წასულიყო ღიუბოვა იაკოვლევისას, მეორეთ დაუჭირეს კაცის გამოკსაუნა რომ

უთუოდ მისულიყო, მაგრამ გიორგიმ უთხრა დედას, ნება მომეცით მე თვითონ წავალო და გამოიქცა იულია ჰავლოვნასთანა.

ეს შეიტყო მადამ ვოჟემ. იმას ასლა კი, ძრვიელ ეჭვი შეუვიდა და ესეც ჩემათ უკან დაედევნა, რომ ეგების მიესწრო ერთად რომ იქნებოდნენ მარტონი. რომ მოვიდა, წენარა შეაღო კარები იულია ჰეტროვნასი, სადაცა იმინებდა და ნასა საშინელი სანახავი. გიორგი იჯდა და იულია ჰავლოვა გადახვეოდა ეელსედ.

— ბრავო! ბრავო! იულია ჰავლოვნა! კარგი ავან-მეოფი ვოფილსართ! შეჭვირბ მადამ ვოჟემ. ეს, ემაწვილი, უფალი ჩემი მოწაფე, შენი დოქტორი არის უთუოდ? ეგ ძალიან კარგი და ჰატიოსანია.

იულია ჰავლოვნას მეტის მწუსარებით და სირცხვილით გული შეუწუსდა.

— თქუტნ ეს შეაშინეთ! შეჭვირბ გიორგიმ, რა მივარდა საშველად იულია ჰავლოვნას.

— უფალო დოქტორო, ახლავე შინ წამოდით! უბძანა ვოჟიომ გიორგის.

— რაო? უთხრა გიორგიმ ზისდით.

— უფალო დოქტორო, მე თქუტნ გიბძანებთ!

— დაიკარე აქედან! შეუვირბ გიორგიმ და ჰეტროვნა გელი.

— შე სამაგელო ბაშო, დაიცა ვერ შენ დედამძას უთხრა.

წადი უჩხარო, მე თითონ უფრო კარგებს ვეცეი . . .  
სულერთიან უამბობ!

— გიორგი! წამოდი მეტქი შინ! ესა სთქუა ზ  
რომ უნდა მივარდნოდა გულმეწუსებულს იუღია ზაუ-  
ლოვნას, სტაცა გული გიორგიმ, გააგლო გარეთ ზ  
მიუკეტა კარები.

— ჯერ დამაცადე სამაგლო, შემოუვირო კარე-  
ბითვან ზ სცა რამდენჯერმე მუშტი კარებსა.

ის სირბილით წავიდა შინისაკენ.

— რატომ აგრე გიყივით მორბისარ, მადამ ვოქე?  
ჭკითხა ფილინე სავინმა, რა შესუდა სალამი. იუღია  
რადა უევი არ წამოიყვანე?

— მე თქუწნ გეტყვით, უთხრა ვოქემ ხმის კან-  
კალით, მე თქუწნ ვიამბობა.

— რა ამბავია? რა მოხდა?

ზასუსი აღარ მისცა ვოქემ ზ გასწივა თავის სად-  
გომ ოთახისაკენ. თან გაჭევა ფილინე სავინი, რომ  
შეეტეო მიხესი ასე გაანსხლებისა. უცებ ბიჭების ევი-  
რილის ხმა შემოესმა ესოდვან ზ ამან შეაყენა.

— მადამა, კვდება! უშველეო კვდება!

— ვინა კვდება ბიჭო? ჭკითხა მშვიდობიანის ხმით  
ფილინე სავინმა.

— მადამა ბატონო, ისე დაეცა ძირს მაწასუდ  
აღლაუფის კარებთან, რომ კვდება!

— რაო? ვინ მადამა?

— გიორგის მადამა, აგერ სადა გდია.

ფილიპე საფიჩი გამოვიდა ესოში, კარებთან გამსხვარებულყო ვოკე და თქები გადასწიწოდა; ჰირიდვან ქუჩი გამოსდიოდა და სალსი შემოსეოდა.

— ეს რა დამართვია, ჰკითხა ფილიპე საფიჩმა?

— გამაყმა იცის, ფთხრა ერთმა გამლეღმა ვაჭარმა. ვმობოდა ესოთვან განსხვებული, ბუტბუტით და უცებ ვარბში კი დაეცა.

— რატომ კარებს არა ჰკეტაუთ, უბმანა კუჩერს ფაღიპე საფიჩმა, რომ დაკეტილი ეოფილიეო, ესოში მანსე დაეკეტიოდა და სალსი აღარ დაესეოდა.

— მერე როგორ ვიაროთ, დაკეტილი რომ იეოს, მიუგო კუჩერმა.

ამ კუჩერთან ლაზარაკში რომ იეო ფილიპე საფიჩი, გიორგიც მისულიეო და თავისის დედით მადამ ვოკეს თავს ადგენს და დაჭყურებდენს.

ბოლოს შეიტანეს თავის ოთასმ, მოიყვანეს ჰექში, რომელმაცა ნახა, რომ ცხარე სიცხე მიეცა და რადვენსაც ლუღლუღებდა.

გიორგიმ უანბო დედას, თუ როგორ შეაშინა იუღია ზავლოენა ვოკემ და დამატა, რომ უთუოდ ბნედა სჭირებიაო. ამასეღ ლიუბოენა იაკოვლეენაც თანახმა შეიქნა.

— მე მაგას სახლში ვერ უწამლებ, სთქუა ფილიპე სავიჩმა, ეშმაკმა წაიღოს იმისი თავი, დაესწენით ბოლნიცაში მოკვდეს.

— მაგას რას ანობო ხეყო მეგობარო, ამდენი წლის ნაამაგდარი ბოლნიცაში როგორ მივცეთ, მიუყო გულხვილმა ლიუბოვა იაკოვლეენამ.

მანც ფილიპე სავიჩმა, არ დაიშალა ზე კაინტუმო კიევის ბოლნიცაში. მოწინა, მოკვდა, თუ საფრანკეთში წავიდა, იმისი აღარ ვიცითრა ზე არც ჩვენსი საქმეა ვიცოდეთ.

რადგანც ქალი ჰევანდათ კიდევ თორმეტის წლისა სასწავლებელი, ამისათვის არ შეიძლებოდა ფილიპე სავიჩს არ დაეჭირა გუგერნანტკა. იმისთანა მადამა უნდოდათ რომ ესწავლებინა არა თუ მარტო ფრანცუზული, ფორტოპიანოსედ დაკურადა. ამისათვის ფილიპე სავიჩი წავიდა კიევში, საგანგებოდ მადამის მოსამკენელად. —

(ბოლო შემდგომს ნომერში იქნება).

1872 წელსა.

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:  
ტფილისში, ადგილობრივ გაუკუსაფხელად თუ გაუკუსა-  
ფხით, 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიის სიღსუდ, შირსოფის  
შენობაში, მარტორუზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც უურნალი დააკლდეს ზ თაფის დროზედ არ  
მიერთოს, უმოწილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე  
აღნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

---

Дозволено Цензурою. 30 Июля. 1872 г.